საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №41
2015 წლის 27 ოქტომბერი

ქ. საგარეჯო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესისა და მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა, დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

დამტკიცდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა, დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ფრიდონ ბურდული**

დანართი №1

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი

მუხლი 1

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი (შემდგომში – წესი) არეგულირებს მუნიციპალიტეტის გამგებლის და საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის მოწყობის საკითხებს.

მუხლი 2

მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწყონ საჯარო შეხვედრა ამომრჩევლებთან და წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მუხლი 3

მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან საჯარო შეხვედრის შესახებ ცნობა გამოაქვეყნონ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.sagarejo.ge) ან სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, 7 დღით ადრე მაინც.

მუხლი 4

საჯარო შეხვედრაზე ანგარიში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით, ასევე შესაძლებელია საკრებულოს მიერ დამტკიცებული სპეციალური ფორმის მიხედვით. ანგარიშის წარდგენისას დასაშვებია აუდიო, ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება და მედიის წარმომადგენლების მოწვევა.

მუხლი 5

საჯარო შეხვედრაზე ანგარიშის მოსმენის სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე ან საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 6

მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან საჯარო შეხვედრის დროს ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

მუხლი 7

საჯარო შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში ან სხვა საჯარო სივრცეში, ასევე შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში, რასაც ურთიერთშეთანხმებით უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი ან გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

მუხლი 8

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს გამართულ საჯარო ანგარიშების განხილვას.

მუხლი 9

საჯარო შეხვედრაზე დამსწრე ამომრჩევლებს, ანგარიშის წარდგენის შემდეგ, უფლება აქვთ დასვან შეკითხვები, გამოთქვან შენიშვნები და წინადადებები, შეაფასონ მომხსენებლის საქმიანობა.

მუხლი 10

მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ წარდგენილი ანგარიშები ოფიციალურად ქვეყნდება საჯაროდ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.sagarejo.ge), კანონით დადგენილ ვადაში.

დანართი №2

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) _____

თანამდებობის დასახელება _____

ფრაქციის დასახელება _____

კომისიის დასახელება _____

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) _____

საანგარიშო პერიოდი - 201___ წლის ____ - დან 201 ___ წლის _____ -მდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _____

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა -------

საკრებულოს სხდომებზე დასწრება _____

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _____მათ შორის, დროებითი კომისიების-----

კომისიის სხდომებზე დასწრება _____მათ შორის, დროებით კომისიებში----------

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა _____

ფრაქციის სხდომებზე დასწრება _____

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები

ინიციირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა----- დადგენილება,---- განკარგულება

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები ----------

---

---

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

---

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა ---------- --- და შეხვედრებზე მონაწილე

მოქალაქეთა რაოდენობა ----------

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

---

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები

(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

შევსების თარიღი ----------

წარდგენის თარიღი ----------

ხელის მოწერა ----------

დანართი №3

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

მუნიციპალიტეტის გამგებელი _____

საანგარიშო პერიოდი - 201___ წლის ____ - დან 201 ___ წლის _____მდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _____

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. მუნიციპალიტეტის გამგებელმა გამგეობის ორგანიზაციული საქმიანობის

სფეროში----------

2. მუნიციპალიტეტის გამგებელმა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან

ურთიერთობის სფეროში განახორციელა

შემდეგი საქმიანობა:---------- ------

---

3. მუნიციპალიტეტის გამგებელმა საფინანოს-საბიუჯეტო საქმიანობის

სფეროში----------

4.მუნიციპალიტეტის გამგებელმა მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის

სფეროში----------

5. მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღმასრულებელი საქმიანობის სხვა სფეროებში განახორციელა შემდეგი

საქმიანობა----------

---

6. მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ინფრასტრუქტურული

პროექტები----------

---

7. მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამგებლის მიერ ინიციირებული საკითხები

ინიციირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა----- დადგენილება,---- განკარგულება

8.მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რაოდენობა ---------- ----------

9.მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საანგარიშო პერიოდში დადებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების

რაოდენობა----------

10.მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა ---------- და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა ----------

11. მოქალაქეთა პრობლემებზე გამგებლის მიერ რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი საკითხები)

II. მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული

სხვა საქმიანობა